პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

28 სექტემბერი, ოთხშაბათი, 1988 წ.
№ 187 (9854) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# სიჩაუქემ დაამშვენა

**თანდათან** ძალას იკრებს და ფეხზე დგება შატილი, რომელსაც სულ რამდენიმე წლის წინათ საბოლოოდ გაუკაცრიელება ელოდა. ახლა აქ მოგზაურებთან ერთად მრავლად შეხვდებით საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ ტურისტებსაც, რომელთაც გულთბილ მასპინძლობას უწევს ტურისტული ბაზა „შატილი". მოგზაურობის მოყვარულებთან ერთად ამ ეგზოტიკური კუთხისაკენ ისწრაფვიან მეცნიერები, სოციოლოგები, მომსახურების სფეროს მუშაკები და, რა თქმა უნდა, მშენებლები.

სულ უფრო პოპულარული ხდება სახალხო დღესასწაული შატილობა. განსაკუთრებით ხალხმრავალი გამოდგა წლევანდელი, რიგით მეშვიდე ზეიმი.

დღესასწაული, რომელსაც დაესწრნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, პ. გ. გილაშვილი, ნ. ა. ფოფხაძე, ო. ე. ჩერქეზია, ჯ. ვ. მარგველიძე, აგრეთვე რესპუბლიკის შემოქმედი ინტელიგენციის წარმომადგენელთა დიდი ჯგუფი და სტუდენტი ახალგაზრდობა, ხალხურმა სიმღერებმა, ლექსებმა, ჯირითმა და სიჩაუქემ დაამშვენა. შეკრებილთ განსაკუთრებით მოეწონათ შატილელ ჭაბუკთა საჩვენებელი გამოსვლები სპორტის სხვადასხვა სახეობებში. სურათებზე შეჯიბრებების ეპიზოდებია ასახული.

**თამაზ ბიბილურის ფოტოები.**

# XXIV ოლიმპიური თამაშები
# სეული, 1988 წელი

„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

## ღირსეული პრიზიორი

**ძიუდოისტთა** ტურნირში პირველი ოლიმპიური ჯილდო ჩვენს გუნდს ამირან ტოტიკაშვილმა (60 კგ) მოუტანა. როგორც ვიუწყებოდით, ქართველმა მოჭიდავემ წააგო ერთადერთი ბრძოლა სტარტზე სამხრეთკორეელ კიმ ჩე ხებთან — ძიუდოისტთან, რომელიც ბოლოს ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

შეიძლებოდა თუ არა ამ ორთაბრძოლის მოგება? საბჭოთა ნაკრების უფროსი მწვრთნელის გენადი კალეტკინის აზრით, ამირანმა მთელი ოლიმპიური ტურნირი მაღალ დონეზე ჩაატარა, შესაშური ფიზიკური მომზადება და ნებისყოფის სიმტკიცე გამოამჟღავნა, იბრძოდა მონდომებით და, რაც მთავარია, გრძნობდა პასუხისმგებლობას. ყველაფერი ეს უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ამირანი ამ ტურნირში, ობიექტურად, უკეთეს ადგილს იმსახურებდა.

რაც შეეხება სამხრეთკორეელ ძიუდოისტთან შეხვედრას, მწვრთნელი ფიქრობს, რომ ტოტიკაშვილს მსაჯებმა ორი სრულფასოვანი ილეთი არ ჩაუთვალეს. ეს ბრძოლა უაღრესად დაძაბული გახლდათ და ბევრი რამ მსაჯების გუნება-განწყობილებაზე იყო დამოკიდებული. ამირანი რომ მართლაც შეუპოვარი სატურნირო მებრძოლია, მისმა მომდევნო შეხვედრებმაც ცხადყო. შექმნილ სიტუაციას მან სწორად აუღო ალღო და მაქსიმალურად საუკეთესო შედეგი აჩვენა.

შემდეგ კალეტკინმა აღნიშნა, რომ ქართველი ძიუდოისტის გამოსვლით კმაყოფილია, თანაც დარწმუნებულია, რომ ახალგაზრდა სპორტსმენი, რომელსაც აქვს მტკიცე ხასიათი და სატურნირო მებრძოლის ჩვევები, კიდევ არა ერთ და ორ გამარჯვებას მოიპოვებს უმაღლესი რანგის ტურნირებში.

## 8,43 ქულა მესამე ადგილამდე

**იგი** ამოვიდა წყლიდან, გადაეხვია თავის მწვრთნელს და ატირდა. 28 წლის გრეგ ლუგანისი (აშშ) გახდა პირველი წყალში მხტომელი, რომელმაც ორ ოლიმპიადაზე ორ-ორი ოქროს მედალი მოიპოვა (ტრამპლინიდან და კოშკიდან ხტომაში).

განსაკუთრებით ძნელი იყო მისთვის მეოთხე გამარჯვება. ოქროს მედალი ამერიკელ სპორტსმენს მხოლოდ ბოლო, მეათე ნახტომმა მოუტანა, რომელიც მსაჯებმა 86,70 ქულით შეაფასეს. ბოლო ცდა არც მის მთავარ კონკურენტს, ნორჩ ჩინელ სპორტსმენს სიუნ ნის გაუფუჭებია. პირიქით, ლიდერმა საკმაოდ მაღალი შეფასება (82,56 ქულა) მიიღო, მაგრამ ჯამში სულ რაღაც 1,14 ქულა დააკლდა წარმატებამდე. ლუგანისის შედეგია 10 ნახტომის ჯამში 638,61, სიუნ ნისა — 637,47.

საბჭოთა კავშირი ამ სახეობაში ორი სპორტსმენით იყო წარმოდგენილი — თბილისელი გიორგი ჩოგოვაძითა და მოსკოველი ვლადიმერ ტიმოშინინით. წინასწარ გეტყვით: ჩოგოვაძემ ოლიმპიურ ტურნირში მეოთხე ადგილი დაიკავა, ტიმოშინინმა კი — მერვე.

სავალდებულო ხტომები თბილისელ სპორტსმენს ცუდად არ შეუსრულებია — დააგროვა 184,02 ქულა და მესამე ადგილი დაიკავა. პირველ ნებისმიერ ნახტომში ჩოგოვაძემ მიიღო შეფასება 76,80 ქულა და ხუთი ნახტომის ჯამში (ოთხი სავალდებულო, ერთი — ნებისმიერი) პირველ ადგილზე გადაინაცვლა — 260,82. მერე და მერე ყოველი ნახტომის შემდეგ გიორგი თითო საფეხურით უკან იხევდა. VI ნახტომი — 73,26, ჯამში 334,08 ქულა (II ადგილი). VII ნახტომი — 62,22 ქულა, ჯამში 396,30 (III ადგილი), VIII ნახტომი — 53,10 ქულა, ჯამში 44[illegible].

იხ. მე-4 გვ.

## ელვა-ინფორმაცია

**გვიან საღამოს სასიხარულო ცნობები მივიღეთ: სსრ კავშირის ფარიკაობის ეროვნულმა გუნდმა გაიმარჯვეს გუნდურ პირველობაში. ოლიმპიადის ჩემპიონთა შორისაა თბილისელი ვლადიმერ აფციაური. ძიუდოისტთა ტურნირში კი, 71 კგ წონით კატეგორიაში, ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა გიორგი თენაძემ.**







### წყალბურთელ ქალთა საკავშირო პირველობა

# „ივერია" — უძლიერესი

**გუშინწინ,** როცა „ივერია" და მოსკოვის „უნივერსიტეტი" ფინალური საგზურის მოსაპოვებლად გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ, მასპინძლებს, თამაშის შედეგის მიუხედავად, როგორც იტყვიან, თავი ქუდში ჰქონდათ, რაც შეეხება სტუმრებს, მათ შეხვედრა ფრედ მაინც უნდა დაემთავრებინათ. ასეთმა სატურნირო მდგომარეობამ, რა თქმა უნდა, ამ გუნდების თამაშზე გავლენა იქონია და თბილისელებს გამარჯვების მისაღწევად მთელი მონდომებით არც უბრძოლიათ. ეს შეხვედრა, როგორც ვიუწყებოდით, ფრედ, 4:4, დამთავრდა.

გუშინ, თბილისის ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა წყალბურთის სპეციალიზებული სპორტსკოლის აუზში ეს გუნდები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. ამჯერად — ფინალში. ახლა, რა თქმა უნდა, მასპინძლები მთელი მონდომებით იბრძოდნენ. სარბიელზე თავდაპირველად თანაბარი ბრძოლა იყო გაჩაღებული, მერე კი „ივერიამ" თანდათან ხელთ იგდო თამაშის სადავეები და გამარჯვებასაც მიაღწია — 9:4.

მესამე ადგილისთვის ბრძოლაში გორკის „სალუტმა" ასეთივე ანგარიშით სძლია მოსკოვის ცსკა-ს.

პრიზიორთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალის შემდეგ ჩვენს ქალებს (ვიქტორია ივანოვა, ქეთინო გვანცელაძე, ინა მელოიანი, ტატიანა ჩერნიშოვა, მარიკა ხიზანიშვილი, ალა მარგიევა, ნატალია აზატიანი, რუსუდან გვანცელაძე, თამარ ლაშქარაშვილი, სუსანა მელოიანი, ნონა ეკიზაშვილი, მედეა ჯაბადარი, ია კორაშვილი) კიდევ ერთი „ბრძოლა" ელოდათ, ამჯერად ტრადიციის დასაცავად, რათა, როგორც გამარჯვებულებს, თავიანთი მწვრთნელი ვაჟა ჩერტკოევი ტანისამოსიანად წყალში გადაეძახათ. მათ ეს „შეხვედრაც" მოიგეს, აი, უფროსმა მწვრთნელმა ზურაბ ჩაჩავამ კი თავს გაქცევით უშველა.

ამ შეჯიბრებაზე დაწესებული იყო რამდენიმე სპეციალური პრიზი. საუკეთესო მეკარისთვის განკუთვნილი პრიზი დაიმსახურა სვეტლანა ტიხონოვამ („სტრელა"), თავდამსხმელისა — იულია ვერხოვამ („უნივერსიტეტი"), მცველისა — ნატალია აზატიანმა („ივერია"), ნახევარმცველისა — ტატიანა ვერიოვკინამ („ურალოჩკა"). შეჯიბრების ყველაზე მომხიბვლელ მონაწილედ თამარა ლაშქარაშვილი („ივერია") აღიარეს.

დასასრულ, უნდა ითქვას, რომ „ივერია" ამგვარ შეჯიბრებაში, რომელშიც პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების წარმომადგენლები გამოდიან, პირველად ავიდნენ საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

„ივერიას" ეს გამარჯვება მნიშვნელოვანწილად განაპირობა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს მზრუნველობამ, რომელიც ამ გუნდის მიმართ გამოიჩინა.

ალბათ გახსოვთ ჩვენი ერთი კრიტიკული პუბლიკაცია, რომელშიც ვწერდით, რომ „ივერიას" მწვრთნელები უხელფასოდ დარჩნენ, ხოლო თავად გუნდს არ ჰქონდა სავარჯიშო ბაზა, სპორტული ფორმა. მისთვის აღარც შეკრებები ეწყობოდა.

ერთი სიტყვით, გუნდი დაშლის პირას მივიდა. შემდეგ პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს მესვეურებმა „ივერიას" მიმართ მზრუნველი ხელი გამოილეს და, აი, ნაყოფიც — გამარჯვება უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა საკავშირო პირველობაში.

იმედია, „ივერიას" არც მომავალში მოაკლდება მზრუნველობა და ისიც კვლავ გაამართლებს მოლოდინს.

**ავთანდილ ბუაჩიძე.**

## გუშინ...

**თელავში გაიმართა მაია ჩიბურდანიძესა და ნანა იოსელიანის ჭადრაკში მსოფლიო პირველობის მატჩის მესამე პარტია, თეთრებით თამაშობდა მსოფლიო ჩემპიონი. მე-40 სვლაზე მეტოქენი დაზავდნენ. ამრიგად, კვლავ წინაა მ. ჩიბურდანიძე — 2:1.**

## გაიმარჯვა ლევიტინამ

**სოჭში** დამთავრდა ტრადიციული საჭადრაკო ფესტივალის „როსიას" პროგრამით გათვალისწინებული ქალთა XXIII საერთაშორისო ტურნირი.

კარგად ითამაშა საერთაშორისო ოსტატმა თამარ ხუგაშვილმა, რომელმაც 7,5 ქულით ვალენტინა კოზლოვსკაიასა (პიატიგორსკი) და ირინა კულიშთან (კრასნოიარსკი) ერთად V-VII ადგილები გაიყო.

რაც შეეხება პირველ ადგილს, მას 10 ქულით ლენინგრადელი საერთაშორისო დიდოსტატი ირინა ლევიტინა დაეუფლა.

9 ქულით II ადგილზე გავიდა ტატიანა სტეპოვაია (კრასნოდარი).

8-8 ქულით III-IV ადგილები გაიყვეს ტატიანა შუმიაკინამ და ტატიანა რუბცოვამ.

## პირადში — მესამე, შერეულში — პირველი

**სიმფეროპოლში** გამართულ დინამოელ ჩოგბურთელთა საკავშირო პირველობაზე წარმატებით გამოვიდა თბილისელი სპორტის ოსტატი დ. ქვარაცხელია. დავითმა პირად პირველობაში საპატიო მესამე ადგილი მოიპოვა.

გამარჯვება კი არავის დაუთმო რიგელმა ანდრის ფილიმონოვმა, რომელმაც ფინალში მასპინძელ ა. ეგოროვს სძლია. ამ უკანასკნელთან დამარცხდა ნახევარფინალში ქართველი ჩოგბურთელი, რომელმაც თავისებური რევანში აიღო შერეულ წყვილთა ტურნირში, სადაც კიშინიოველი ელენა ვლადიმირსკაია უწევდა პარტნიორობას. ამ დუეტმა ზედიზედ ჩამოიცილა გზიდან მეტოქეები და გადამწყვეტ მატჩში ტალინელთა ძლიერ წყვილს მ.-მოორლატსა და ანეეი ტოომს დააყრევინა ფარ-ხმალი, რის შედეგადაც საზოგადოების ჩემპიონობა დაიმკვიდრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოფელი ღონიერია...

## მივაგქოთ ენთუზიასტებს

**საორგული** ბაზებით წითელწყაროს რაიონი დიდად ვერ მოიწონებს თავს, იგი ერთ-ერთი ჩამორჩენილია კახეთის რეგიონში. რაიონულ ცენტრს თუ არ ჩავთვლით, სკოლების სპორტულ დარბაზებს (რომლებიც სადღეისო მოთხოვნებს ვერ პასუხობს) დღემდე არა აქვთ საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაიონული ცენტრის სპორტსკოლას ფაქტიურად დირექტორის პატარა სამუშაო ოთახი წარმოადგენს, სპორტული ჯგუფები კი სკოლებშია დაქსაქსული.

ჭაბუკთა II საკავშირო თამაშების შედეგების მიხედვით ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ სპორტულ რუკაზე წითელწყაროს რაიონს ვერსად იპოვით. ამისი ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც ალბათ ზემოთქმულში უნდა ვეძებოთ.

წითელწყაროში ერთადერთი საფეხბურთო მოედანია და იმასაც მზრუნველ ხელი აკლია. წლების განმავლობაში რაიონში სპორტული ბაზების მშენებლობა ჩამკვდარი იყო. ბოლო ორი წელიწადია, რაც ამ მხრივ გამოცოცხლება იგრძნობა. შესანიშნავი სპორტული კომპლექსი აშენდა ზემო ქედში. სოფელმა იგი საკუთარი სახსრებით ააგო, რასაც თითქმის ორი ათეული წელი დასჭირდა. სამწუხაროდ, ეს ბაზა დღემდე არასაკმარისადაა დატვირთული.

ქვემო ქედში შარშან დაიწყო სპორტული კომპლექსის მშენებლობა, რომელიც კოლმეურნეობას 85 ათასი მანეთი უჯდება. გეგმით შენობა საექსპლოატაციოდ 1989 წლის პირველ კვარტალში უნდა გადაეცეს, მაგრამ ხარჯთაღრიცხვაში ნაჩვენები თანხის ნახევარი უკვე ათვისებულია, რაც იმედს იძლევა, რომ მშენებლობა ვადაზე ადრე დასრულდება. ამაში წვლილი სოფლის ხელმძღვანელობასთან და მშენებლებთან ერთად კომკავშირის რაიკომსაც მიუძღვის. აქტიურობენ ქვემოქედელი ახალგაზრდებიც.

კომკავშირის რაიკომის თაოსნობით 1987 წელს სოფელ ჯაფარიძეში, ხელოვნური ტბის მახლობლად, მოეწყო ღია სპორტული კომპლექსი კალათბურთის, ჩოგბურთის, მინიფეხბურთის მოედნებით.

ცალკე უნდა ითქვას წითელწყაროელ ენთუზიასტებზე. შარშან სოფელ ჯაფარიძეში საჭიდაო დარბაზი აშენდა. მოჭიდავემ, სპორტის ოსტატმა ვაჟა ანდრიაშვილმა თავად იკისრა კალატოზობა და შეგირდებთან ერთად ოთხ თვეში შენობა ააგო. საერთო საქმეს კოლმეურნეობის თავკაცის ნიკო ყოჩიაშვილის მეთაურობით მთელმა სოფელმა აუბა მხარი. ახლა ამ დარბაზში ვაჟა ანდრიაშვილი სამ ჯგუფს ავარჯიშებს. სპორტსმენები უზრუნველყოფილნი არიან საჭირო ინვენტარით.

სოფელ არბოშიკში ორ ჯგუფს ენთუზიასტი მწვრთნელი ვაჟა გონაშვილი ავარჯიშებს. 1985-დან 1987 წლამდე იგი საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობდა. ამ ხნის განმავლობაში თავისუფალ ჭიდაობაში რესპუბლიკური პირველობის სამი პრიზიორი აღზარდა. ბავშვებთან ვარჯიში ძირითადად ღია ცის ქვეშ მიმდინარეობდა. ავდარში სკოლის დარბაზს აფარებდნენ თავს, მაგრამ ეს, ეტყობა, ვიღაც-ვიღაცეებს ხელს არ აძლევდა და ერთი ორჯერ საჭიდაო ლეიბებიც დაუჭრეს. მაშინ ვაჟამ და მისმა აღსაზრდელებმა ფერმის მუშების ყოფილი საცხოვრებელი სახლი გაარემონტეს, პატარა ოთახიც მიაშენეს, სადაც გასახდელია მოწყობილი და ახლა იქ ვარჯიშობენ. სპორტსკოლამ, როგორც იქნა, შენიშნა ენთუზიასტი და ორი ჯგუფი გამოუყო. ვაჟა გონაშვილის დამსახურებაა ისიც, რომ არბოშიკში დაიწყება 300 ათას მანეთად ღირებული დარბაზის მშენებლობა (სხვათა შორის, პროექტი და ხარჯთაღრიცხვა ჯერ კიდევ 1985 წელს მომზადდა, მაგრამ წითელწყაროს მოძრავ-მექანიზებული კოლონა № 15, რომელსაც დაეკისრა დარბაზის მშენებლობა, აქამდე აჭიანურებს მის დაწყებას). ვაჟა მხოლოდ ბავშვების ფიზიკურ აღზრდას კი არ აქცევს ყურადღებას, შრომის სიყვარულსაც უნერგავს. მისმა შეგირდებმა წელს სასოფლო გზის გაყოლებაზე 200 ძირი კაკლის ნერგი დარგეს.

როგორც ხედავთ, სადაც საქმის ჭეშმარიტი სიყვარულია, შეუძლებელიც არაფერია. ალბათ, სწორედ ეს გრძნობა აკლიათ წითელწყაროს დახურული საცურაო კომპლექსის მშენებლებს (წითელწყაროს საკოლმეურნეობათაშორისო საბჭო, თავმჯდომარე თენგიზ იაკობაშვილი, მთავარი ინჟინერი გივი ყოჩიაშვილი, უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი შოთა ნანობაშვილი). ამ ობიექტის მშენებლობა 1986 წელს დაიწყო და მომდევნო წელს უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ჯერ კედლებიც არაა ბოლომდე აყვანილი. 823 ათასი მანეთიდან მიმდინარე წლის აპრილისთვის 350 ათასი მანეთის სამუშაოებია შესრულებული და მას მერე, დღემდე ბევრი არაფერი გაკეთებულა. როგორც შოთა ნანობაშვილმა ბრძანა, მშენებლობას უკეთეს შემთხვევაში 1989 წლისთვის თუ დაასრულებენ, მაგრამ იმას თუ გავითვალისწინებთ, აქამდე როგორ ირჯებოდნენ, ესეც საეჭვოდ ჩანს. არადა, როგორც სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ თენგიზ გუმაშვილმა თქვა, ეს კომპლექსი რაიონს ჰაერივით სჭირდება, რადგან წითელწყაროში ერთადერთი, მეტნაკლებად ნორმალური საცურაო აუზი მხოლოდ სოფელ არხილოსკალოს აქვს.

ბოლო რვა წლის განმავლობაში სოფელი სამთაწყარო ოთხჯერ გაიზარდა. აქ მევენახეობის დიდი მეურნეობა შეიქმნა. მოსახლეობის უმრავლესობა მუშა ახალგაზრდობა და მოზარდია (ბევრია მრავალშვილიანი ოჯახი). სოფელს სპორტული მოედანი სჭირდება. რამდენიმე წელიწადია სტადიონის კეთილმოწყობის პროექტი არსებობს, მაგრამ მის განხორციელებას საშველი არ დაადგა.

აქვე კიდევ ერთ ფაქტზეც უნდა ვთქვათ — წითელწყაროში, სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალის ტერიტორიაზე დაიწყეს და შუა გზაზე მიატოვეს ღია სპორტული კომპლექსის მშენებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ის დასკვნა უნდა გავაკეთოთ, რომ დაწყებულ საქმეს ბოლომდე უნდა მიყვანა. იმედი გვაქვს, სათანადო ორგანიზაციები უფრო მეტად შეიწუხებენ თავს. ჯანსაღი შთამომავლობისთვის ზრუნვა ხომ უპირველესი საქმეა.

**ალექსანდრე პაპოშვილი,**
**„ლელოს" საკ. კორ.**
წითელწყარო.



წითელწყაროს დახურული საცურაო კომპლექსის მშენებლობა 1986 წელს დაიწყო...





სოფელ ჯაფარიძის ღია სპორტული კომპლექსი (მარცხნივ) და საჭიდაო დარბაზის გარე ხედი.

## ნაჭარმაგევის ტბის პერსპექტივა

**გორი-ცხინვალის** გზატკეცილის მე-5 კილომეტრის მარცხნივ თუ გადაუხვევთ, ნაჭარმაგევის ტბას წააწყდებით. ეს ტბა ყურადღებიანი პატრონის ხელში მოსახლეობის დასვენებისა და ჯანმრთელობის გაკაჟების ნამდვილ კერად შეიძლება გადაიქცეს. რამდენიმე თვეა ტბას მართლაც ასეთი პატრონი გამოუჩნდა, მანამდე კი...

ამ რამდენიმე წლის წინ ნაჭარმაგევზე ნავებიც დაცურავდნენ და ტბის ნაპირზე განლაგებული სპორტული მოედნებიც მოქმედებდნენ, აქაურობასაც დამსვენებელი არ აკლდა, მაგრამ საქმის ცუდმა ორგანიზაციამ და თვითდინებაზე მიშვებამ ცუდი შედეგი გამოიღო. ტბა უპატრონოს დაემსგავსა, სპორტული მოედნები ბალახმა დაფარა და ნავების რაოდენობამაც თანდათან იკლო. მოუვლელობა თვით წყალსაცავსაც დაეტყო. მისი ფსკერი წყალმცენარეებით დაიფარა და ცურვა თითქმის შეუძლებელი გახდა.

წელს ტბა და მისი მიმდებარე ტერიტორია — სულ 13 ჰექტარი ფართობი — კოოპერატივ „სიჭაბუკის" (თავმჯდომარე გია ანიაშვილი) განკარგულებაში გადავიდა. კოოპერატივში გაერთიანდა 6 კაცი, რომელთაც მიზნად დაისახეს აქ მთელი სპორტული კომპლექსის გაშენება. პირველი, რაც „სიჭაბუკის" წევრებმა გააკეთეს, ეს ტბის გაწმენდა იყო. ტბის ფსკერი საფუძვლიანად გასუფთავდა ყოველგვარი წყალმცენარეებისაგან. თუ კოოპერატორებმა დასახული გეგმების განხორციელება შეძლეს, მაშინ ნაჭარმაგევის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი ერთ-ერთი საუკეთესო იქნება რესპუბლიკაში. ტბის ნაპირთან შენდება დახურული სპორტული დარბაზი ფეხბურთის, კალათბურთის, ხელბურთისა და ფრენბურთის სათამაშოდ, დაიდგმება სხვადასხვა სახის ტრენაჟორები, მაგიდის ჩოგბურთის, ჭადრაკისა და შაშის მაგიდები. იქვე მოეწყობა ტირის ფარდული, კრივის ოთახი, იმუშავებს საუნა. ეს, რაც შეეხება დახურულ სპორტულ დარბაზს.

მთელი რიგი სპორტული მოედნების მოწყობაა გათვალისწინებული ღია ცის ქვეშ. აქ 2 ჰექტარი ფართობი მთლიანად სპორტს დაეთმობა. გაიმართება მინიფეხბურთის მოედანი, ჩოგბურთის კორტები, მოეწყობა კალათბურთის, ბადმინტონისა და ფრენბურთის მოედნები, ნახერხმოყრილი საჭიდაო, სადაც მსურველები ქართულ ჭიდაობაში ცდიან ძალებს. „სიჭაბუკის" წევრებს გათვალისწინებული აქვთ მცირე ზომის ფეხბურთის მოედნის მშენებლობაც.

ჩვენს კითხვაზე, თუ რა უშლის ხელს სტანდარტული მოედნის მშენებლობას, თამაზ ანიაშვილმა გვიპასუხა: — იმ ადგილას, სადაც სპორტკომპლექსის მშენებლობა გვაქვს განზრახული, ორი მაღალი ძაბვის ხაზი გადის. სწორედ ეს არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ სტანდარტული მოედანი გავმართოთ. ამ ხაზებს ორასიოდე მეტრით იქით რომ გადაიტანდეს ვინმე, რაც არც ისე ძნელი საქმეა, პრობლემა მოიხსნებოდა.

კოოპერატორებს არც ტურიზმის მოყვარულნი დავიწყნიათ. ტბიდან ცოტა მოშორებით განზრახულია პატარა სადგომის გაკეთება, სადაც ტურისტებს კარვების დადგმისა და ღამის გათევის შესაძლებლობა ექნებათ.

ტბის მახლობლად ხელოვნური საცურაო აუზის გაკეთებაა განზრახული, სადაც ნორჩებს ცურვას შეასწავლიან. იქვე, გვერდით, რამდენიმე კოტეჯი ჩაიდგმება და როგორც ანიაშვილმა აღნიშნა, თუ მოგვარდება სრული საფეხბურთო მინდვრის მშენებლობის საქმე, მაშინ „სიჭაბუკეს" ექნება იმის შესაძლებლობა, რომ დააბინაოს და ვარჯიშის საუკეთესო პირობები შეუქმნას საქართველოს პირველობაზე მოთამაშე ან საკავშირო II ლიგის ფეხბურთელთა ნებისმიერ გუნდს.

ტბის საპირისპირო მხარეს კოოპერატივს განზრახული აქვს საკმაოდ დიდი ფართობი საცხენოსნო სპორტის მოყვარულთ დაუთმოს. აქ მოეწყობა სარბიელი, სადაც ნებისმიერ მსურველს ექნება ცხენით გასეირნების საშუალება. ყოველივე ამის გარდა, განზრახული აქვთ ყინულის საციგურაო მოედნის გაკეთება.

— ამაზე ყველას ეღიმება, არარეალურად ეჩვენება, — გვითხრეს მათ. — მაგრამ ჩვენი საქმისა გვჯერა, გვჯერა, რომ თუ მხარდაჭერა გვექნა, ზამთრობით აქ საციგურაო იქნება, ზაფხულში კი თევზს მოვაშენებთ.

თავად ნაჭარმაგევის ტბაზე ახლა ორად ორი ნავი დაცურავს, მათგან ერთი, როგორც გვითხრეს, ნათხოვარია. ამჟამად თითქმის არავითარი სხვა სპორტული ინვენტარი კოოპერატივს არ გააჩნია. მზიან დღეებში აქ მრავალი დამსვენებელი იყრის თავს. ეს ორი ნავი, რა თქმა უნდა, ყველას ვერ აუვა. საჭიროა ახალი ნავები, წყლის ველოსიპედები, საჩრდილობელი ქოლგები, მათი გადარიცხვით შეძენა მხოლოდ დიდი დაბრკოლებების გადალახვის შემდეგ ხდება შესაძლებელი. გარდა ამისა, ტბაზე აუცილებელია პატარა მოტორიანი ნავი, რათა უბედური შემთხვევა თავიდან ავიცილოთ. კოოპერატივისათვის აუცილებელია საკუთარი ელექტრომეურნეობის შექმნა. უნდა დაინიშნოს ავტობუსი, რომელიც რეგულარულად იმოძრავებს ქალაქსა და ტბას შორის.

ჩვენი მხრიდან დავამატებთ, რომ ზედ ტბაზე, წყალში, ჩადგმულია რაიკავშირის საზკვების სასადილო. მართალია, მას საკუთარი კანალიზაცია აქვს, მაგრამ ტბის წყალი მაინც ჭუჭყიანდება. თუნდაც ეკოლოგიის თვალსაზრისით აუცილებელია ამ სასადილოს ტბიდან მოშორებით გადატანა.

მშენებლობების წარმატებით დამთავრების შემდეგ აქ ყველა პირობა იქნება შექმნილი აქტიური დასვენებისთვის, ამიტომ კოოპერატორთა წამოწყებას ყოველმხრივ ხელისშეწყობა სჭირდება.

იმედი გვაქვს, რომ ზემოთ ჩამოთვლილ და კიდევ სხვა მრავალი პრობლემის გადაწყვეტაში კოოპერატივს დახმარებას აღმოუჩენს გორის რაისაბჭოს აღმასკომი, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რაიონული საბჭო.

აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ კოოპერატორებს მხარში უდგას და შეძლებისდაგვარად ბევრ საქმეში ეხმარება რაიონული სახალხო კონტროლის კომიტეტი (თავმჯდომარე მარლენ ნინოშვილი).

**ზაზა რონიშვილი.**
გორი.

## ჭიდაობას... ნრე უნდა

**ბებნისის** საბჭოთა მეურნეობაში, მარტივი ტიპის სპორტული მოედნების გვერდით, ამას წინათ გაიხსნა ახალი გადახურული საჭიდაო სარბიელი. იგი 350 მაყურებელზეა გათვალისწინებული, აქვს საკუთარი გასახდელები და საშუალებას იძლევა ფალავანთა წვრთნა თუ შეჯიბრებები ნებისმიერ ამინდში ჩატარდეს. არენის აგებაზე იზრუნა მეურნეობის ხელმძღვანელობამ (დირექტორი ნოდარ კვიჟინაძე). საჭიდაო სარბიელი საუკეთესო გამოვიდა.

...საღამოს ექვსი საათიდან დაწყებული ძალიან დიდხანს არ წყდებოდა ზურნისა და დოლის გაბმული ხმა. მოჭიდავეთა წყვილები ერთმანეთს ცვლიდნენ ახალ სარბიელზე. გამარჯვებულები მხოლოდ შებინდებისას გამოვლინდნენ. აი, ისინიც (წონითი კატეგორიების მიხედვით): პ. გაგნიძე, გ. გაგნიძე, გ. მიდელაშვილი, ი. ჩიმჩიური, მ. ზესტაევი, ა. მჭედლიშვილი, ჯ. მასურაშვილი, ბ. ტეფნაძე.

საინტერესო სპორტული საღამო ძალოსნებმა დააგვირგვინეს — სიმძიმეების აწევაში ტოლი არ ჰყავდა ქარელელ ე. თურმანიშვილს.

იქვე გამოვესაუბრეთ რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს მურთაზ ნოზაძეს.

—იმედი მაქვს, რომ ახალი სპორტული კერა სტიმულს მოგვცემს. დაგეგმილია ქარელის ჯანმრთელობის ზონის მოწყობა, ჩვენს ხელოვნურ ტბებზე (ასეთი ქარელში ორია) გვინდა შევქმნათ ცურვის, წყალში ხტომისა და ნიჩბოსნობის ჯგუფები, ვფიქრობთ მძლეოსნობის ფართოდ დანერგვას, მით უფრო, რომ რაიონში რამდენიმე ნიჭიერი სპორტსმენი გვყავს, რომლებსაც გულმოდგინე მწვრთნელი გურამ ლურსმანაშვილი ავარჯიშებს.

რაც შეეხება ჭიდაობის ამ ახალ სარბიელს, გეტყვით, რომ უახლოეს პერიოდში მეურნეობის ხელმძღვანელობა ალბათ მწვრთნელს აიყვანს და ბებნისის საჭიდაო სარბიელზეც დაფრთიანდებიან მომავალი ჩემპიონები.

**ოთარ ოთარაშვილი.**
ქარელის რაიონი,
სოფ. ბებნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ლიგა

**გთავაზობთ** სსრ კავშირის 51-ე საფეხბურთო ჩემპიონატის 24-ე ტურის სტატისტიკურ მონაცემებს.

**„სპარტაკი“ — „მეტალისტი“ 2:1 (2:0).** გოლები: პასულკო, მოსტოვოი („სპარტაკი“), რალიუჩენკო („მეტალისტი“).

გააფრთხილეს ხარკოველი ფეხბურთელი დერევინსკი.

დუბლიორები — 3:3.

**„დნეპრი“ — „ტორპედო“ 2:0 (1:0).** გოლები: სონი, სიდელნიკოვი.

გააფრთხილეს დნეპროპეტროვსკელი პუჩკოვი და ტორპედოელები გილელოვი და შირინბეკოვი.

დუბლიორები — 1:0.

მატჩი იმსაჯა თბილისელ მსაჯთა ბრიგადამ: გ. სეფიაშვილი, ე. სილაგავა, მ. ჭელიძე.

**„ნეფთჩი“ — „დინამო“ (მინსკი) 2:1 (1:0).** გოლები: აჰმედოვი-2 („ნეფთჩი“), შიროკი („დინამო“).

გააფრთხილეს „ნეფთჩის“ ფეხბურთელები პანჩიკი, ჰუსეინოვი და აბდულაევი, აგრეთვე, მინსკელები იანუშევსკი და გურინოვიჩი.

დუბლიორები — 1:4.

**„შახტიორი“ — „კაირატი“ 2:0 (2:0).** გოლები: კობზევი, პეტროვი.

გააფრთხილეს ალმაათელი ფეხლევანიდი და დონეცკელი იაშჩენკო.

დუბლიორები — 2:1.

**„არარატი“ — „ზენიტი“ 1:0 (0:0).** გოლი: ქოჩარიანი.

გააფრთხილეს ზენიტელები ბარანიკი და დმიტრიევი, აგრეთვე, ერევნელი ენგიბარიანი.

დუბლიორები — 2:0.

**„ჩერნომორეცი“ — „დინამო“ (კიევი) 2:1 (2:1).** გოლები: პერეპადენკო, შჩერბაკოვი („ჩერნომორეცი“), გორილი („დინამო“).

დუბლიორები — 3:1.

**⊙ ბანვლილი** ტურის 7 მატჩში მასპინძლებმა 6 თამაში მოიგეს, ხოლო სტუმრებმა სულ ერთი დაამთავრეს ფრედ. ჩემპიონატის დაწყებიდან მასპინძლებმა 99 მატჩი მოიგეს, სტუმრებმა მხოლოდ 33, ხოლო 54 მატჩი ფრედ დამთავრდა.

**⊙ ბომბარდირთა** დავაში 13 გოლით წინაა „დნეპრის“ თავდამსხმელი ე. შახოვი, ორ-ორი ბურთით ნაკლები გაიტანეს ა. ბოროდიუკმა („დინამო“, მოსკოვი), ო. პროტასოვმა („დინამო“, კიევი) და მ. რუსიაევმა („ლოკომოტივი“, მოსკოვი).

### გათამაშების ცხრილი

**დუბლიორთა შემადგენლობანი**

| | თ. | მ | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ | 24 | 13 | 7 | 4 | 49-30 | 33 |
| „დინამო“ მ. | 21 | 14 | 4 | 3 | 34-13 | 32 |
| „დინამო“ კ. | 22 | 12 | 5 | 5 | 32-23 | 29 |
| „ტორპედო“ | 23 | 12 | 3 | 8 | 33-28 | 27 |
| „დნეპრი“ | 24 | 11 | 5 | 8 | 33-30 | 27 |
| „ჟალგირ.“ | 23 | 9 | 9 | 5 | 34-16 | 27 |
| „დინ.“ თბ. | 24 | 8 | 10 | 6 | 30-29 | 26 |
| „ჩერნომ.“ | 24 | 9 | 6 | 9 | 27-28 | 24 |
| „ზენიტი“ | 24 | 9 | 4 | 11 | 25-34 | 22 |
| „ლოკომ.“ | 21 | 8 | 6 | 7 | 27-22 | 22 |
| „მეტალის.“ | 24 | 7 | 7 | 10 | 32-30 | 21 |
| „არარატი“ | 20 | 7 | 4 | 9 | 29-33 | 18 |
| „დინ.“ მნ. | 23 | 5 | 5 | 13 | 25-39 | 15 |
| „შახტ.“ | 23 | 5 | 5 | 13 | 27-44 | 15 |
| „კაირატი“ | 24 | 4 | 5 | 15 | 21-44 | 13 |
| „ნეფთჩი“ | 20 | 3 | 7 | 10 | 12-27 | 13 |

28/IX
187 (9854)

**26 სექტემბერს** გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო თამაშების 35-ე ტურის შეხვედრები. ჩვენს ორივე გუნდს — ლანჩხუთის „გურიასა“ და ბათუმის „დინამოს“ სტუმრად ჰქონდათ თამაშები. მათ წარმატებით ჩაატარეს ტურის ეს მატჩები.

„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი **ავთანდილ ორმოცაძე** კრასნოდარში დაესწრო ადგილობრივი „კუბანისა“ და ლანჩხუთის „გურიის“ შეხვედრას, მან ტელეფონით შეგვატყობინა:

— ლიგაში ამჟამად მეტად დაძაბული ვითარებაა: „გურია“ წარმატებით იბრძვის ლიდერთა ჯგუფში და კვლავ რეალური შესაძლებლობა აქვს დაუბრუნდეს პირველ ეშელონს, თუმცა, სამისოდ მას ძალების სრული დაძაბვით მოუწევს ბრძოლა, მაგრამ, ამავე დროს, მისი მეტოქე კრასნოდარის „კუბანი“ ქულების აღების მწვავე აუცილებლობის წინაშე იმყოფებოდა, ვინაიდან იგი სატურნირო ცხრილის ერთ-ერთ ბოლო ადგილზე არის და, ცხადია, სურს თავი დააღწიოს სახიფათო ზონას, მით უმეტეს, როცა მას შინ არ სურს დაკარგოს ქულების აღების კარგი შესაძლებლობა. ამან განაპირობა ბრძოლის სიმწვავე. მე-10 წუთზე, რამდენიმე ორმხრივი იერიშის შემდეგ ლანჩხუთელებმა სწრაფი შეტევა განახორციელეს, დანელიამ „კუბანის“ საჯარიმო მოედანზე ჩააწოდა და იავორსკიმ თავით ზუსტად გაგზავნა ბურთი მიზანში — 1:0.

ტაიმი ამ ანგარიშით დამთავრდა. შესვენების შემდეგ მასპინძლებმა საპასუხო გოლის გატანა შეძლეს, ეს რედკომ გააკეთა, როცა შორი მანძილიდან ზუსტად დაარტყა კარში — 1:1.

მიმდინარეობდა 64-ე წუთი, „გურიამ“ კვლავ ხელთ იგდო ინიციატივა და იავორსკი-ხლუსის კომბინაცია მასპინძელთა კარში გატანილი მეორე გოლით დამთავრდა — 2:1.

კრასნოდარელი ფეხბურთელები ამის შემდეგ ბევრს ეცადნენ, მძიმე სამუშაო დააწვა „გურიის“ დაცვასა და მეკარე ქანთარიას, ერთ მომენტში ბურთი ძელსაც მოხვდა, მაგრამ ლანჩხუთელებმა საბოლოოდ მაინც მიაღწიეს მიზანს და შეძლეს გამარჯვების შენარჩუნება — 2:1.

ლანჩხუთელებმა მატჩი ასეთი შემადგენლობით ჩაატარეს: ქანთარია, ტყებუჩავა, ანდღულაძე, დანელია, პარხომენკო (ბონდარუკი), ცომაია, ჟორდანია, ხლუსი, კორღალიძე (გოგრიჭიანი), ფრიდონაშვილი (კაკილაშვილი), იავორსკი. იმსაჯა ნ. ლედნიკოვმა (ლენინგრადი).

წარმატებით ითამაშეს ბათუმის დინამოელებმა, რომლებმაც აზოვიანში ფრედ დაამთავრეს „კოტაიკთან“ შეხვედრა — 1:1.

ტურის დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: „დაუგავა“ (რიგა) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) 3:1, ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 1:0, „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 5:0, ასკ (დონის როსტოვი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 0:0, „ზვეზდა“ (პერმი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 1:1, „გეოლოგი“ (ტიუმენი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 0:1, „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 0:0, „პამირი“ (დუშანბე) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 3:0, ცსკა — „კუზბასი“ (კემეროვო) 2:0.

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 28 სექტემბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „პამირი“ | 34 | 21 | 8 | 5 | 63-31 | 50 |
| „ფახთაქ.“ | 35 | 17 | 9 | 9 | 49-29 | 43 |
| „როტორი“ | 33 | 18 | 5 | 10 | 57-29 | 41 |
| „გურია“ | 32 | 18 | 5 | 9 | 48-30 | 41 |
| ცსკა | 33 | 16 | 9 | 8 | 46-27 | 41 |
| „დინ.“ სტ. | 34 | 15 | 10 | 9 | 48-33 | 40 |
| ასკ „კარპ.“ | 33 | 15 | 7 | 11 | 45-24 | 37 |
| „დაუგავა“ | 33 | 15 | 6 | 12 | 47-39 | 36 |
| „როსტს.“ | 33 | 13 | 8 | 12 | 48-46 | 34 |
| „ტავრია“ | 34 | 12 | 10 | 12 | 31-36 | 34 |
| „სპარტაკი“ | 34 | 13 | 7 | 14 | 45-47 | 33 |
| ასკ რ. | 32 | 12 | 9 | 11 | 41-47 | 33 |
| „გეოლოგი“ | 33 | 13 | 5 | 15 | 36-43 | 31 |
| „კოტაიკი“ | 34 | 12 | 7 | 15 | 43-65 | 31 |
| „შინიკი“ | 34 | 11 | 8 | 15 | 32-40 | 30 |
| „კუზბასი“ | 34 | 9 | 12 | 13 | 24-34 | 30 |
| „მეტალ.“ | 33 | 9 | 10 | 14 | 22-33 | 28 |
| „დინამო“ ბ. | 32 | 11 | 5 | 16 | 31-38 | 27 |
| „ზარია“ | 33 | 9 | 8 | 16 | 40-48 | 26 |
| „კუბანი“ | 34 | 9 | 7 | 18 | 30-48 | 25 |
| „კოლოსი“ | 34 | 8 | 6 | 20 | 24-51 | 22 |
| „ზვეზდა“ | 33 | 5 | 11 | 17 | 27-59 | 21 |

# მთავარი მიზანი — ოსტატთა აღზრდა

**რამდენიმე** ათეული წელია ჩამოყალიბებულია ნორჩ ფეხბურთელთა „ტყავის ბურთის“ საკავშირო კლუბი, კომკავშირული ორგანიზაციების თაოსნობით სისტემატურად იმართება საინტერესო შეჯიბრებები, ბავშვთა გუნდები წლოვანების მიხედვით დაყოფილი არიან რამდენიმე ჯგუფად, მასობრივი შეჯიბრებები იწყება ეზოებში, ქუჩებში, სკოლებში, შემდეგ იმართება რაიონული, საქალაქო შეჯიბრებები, გამარჯვებულები ბრძოლას განაგრძობენ რესპუბლიკურ ტურნირებში, საბოლოოდ კი საუკეთესონი თავს იყრიან საკავშირო ფინალურ ასპარეზობებში, გამარჯვებულებს აჯილდოვებენ სიგელებით, დიპლომებით, მედლებით.

ნორჩ ფეხბურთელთა ეს ორგანიზებული შეჯიბრებები, უპირველეს ყოვლისა, მოზარდი ორგანიზმის გაჯანსაღებას ემსახურება, მაგრამ „ტყავის ბურთის“ კლუბის შეჯიბრებებს სხვა მიზანიც აქვს. კერძოდ ის, რომ გამოავლინოს ახალი, პერსპექტიული ფეხბურთელები, მომავალი ოსტატები. ჩვენ არაერთი შემთხვევა ვიცით, როდესაც ბავშვმა თამაში დაიწყო ეზოს ან ქუჩის გუნდში, მერე კი უმაღლესი ლიგის ოსტატებში და საკავშირო ნაკრებშიც კი გაიკვალა გზა.

ამიტომაც ამ შეჯიბრებებს საგანგებო ყურადღება და ზედამხედველობა ესაჭიროება.

სულ ახლახან, ზაფხულში, ქუთაისში გაიმართა „ტყავის ბურთის“ კლუბის რესპუბლიკური ფინალური გათამაშებები 3 ასაკობრივ ჯგუფში. შეჯიბრებებში მონაწილეობდნენ 1971-72, 1973-74 და 1975-76 წლებში დაბადებულნი. თითოეულ ასაკობრივ კატეგორიაში გამოდიოდა 16-16 გუნდი, ისინი დაყოფილი იყვნენ ქვეჯგუფებად, აქ გამარჯვებულნი ბრძოლას განაგრძობდნენ უშუალოდ პრიზების მოსაპოვებლად.

უფროს ასაკში პირველი სამი ადგილი [illegible] რაიონისა და ვანის რაიონის გუნდები. საშუალო ასაკში პირველი ადგილი მოიპოვა საჩხერის რაიონის „იმედმა“, მომდევნო ადგილზე გავიდნენ ბოლნისის რაიონის „სიონი“ და ჩხოროწყუს სოფელ ახუთის ჭაბუკები.

უმცროს ასაკში გაიმარჯვა გარდაბნის რაიონის „ენერგეტიკოსმა“, მომდევნოები იყვნენ ქუთაისის „აისი“ და ხელვაჩაურის რაიონის „გონიო“.

„ტყავის ბურთის“ კლუბის საკავშირო ფინალურ გათამაშებაში დიდი წარმატება ხვდა წილად გარდაბნის რაიონის „ენერგეტიკოსს“. გარდაბნელ ნორჩ ფეხბურთელთა ეს გამარჯვება განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, 1975-76 წლებში დაბადებულთა შორის მათ ყველას სძლიეს და ჩემპიონთა წოდებაც მოიპოვეს. წარმატებას მიაღწია, აგრეთვე, წყალტუბოს რაიონის „ხონი-88“-ის გუნდმა, რომელმაც თავის ასაკში მეორე ადგილი დაიკავა. ჩვენც უმთავრესად სწორედ ასეთ მოწინავე გუნდებში უნდა ვეძიოთ ის ნიჭიერი ფეხბურთელები, რომლებიც არა მარტო თავიანთ რაიონის მოზრდილთა გუნდებში ითამაშებენ, არამედ ოსტატ ფეხბურთელთა შორისაც დაიმკვიდრებენ ადგილს. ჩვენი აზრით, კარგი პერსპექტივის ნორჩი ფეხბურთელები ახლავე უნდა ავიყვანოთ საგანგებო აღრიცხვაზე, მათთან საჭიროა სისტემატური, გეგმაზომიერი, მიზანდასახული საწვრთნელი მუშაობა.

დავუბრუნდეთ ქუთაისში ჩატარებულ ფინალურ შეჯიბრებებს. სამწუხაროდ, წლევანდელ გათამაშებებშიც დაირღვა დებულება, ფინალური ტურნირის ორგანიზატორები ოპერატიულად განიხილავდნენ თითოეულ ასეთ შემთხვევას და სათანადო ზომებსაც მიმართავდნენ. ფინალური შეჯიბრებების მაღალ დონეზე ჩატარებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქუთაისის კომკავშირული ორგანიზაციები, ფიზკულტურის კომიტეტი, ავტოქარხნისა და ქალაქის საზოგადოებრივი აქტივი.

რამდენიმე შენიშვნა მინდა გამოვთქვა ნორჩ ფეხბურთელთა ამ შეჯიბრებათა მიმართ. „ტყავის ბურთის“ კლუბი ჩამოყალიბდა მაშინ, როცა სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლების რაოდენობა არასაკმარისი იყო და ბავშვთა უმეტესობა სისტემატურად ვერ ვარჯიშობდა. მაგრამ დღეს სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლების რაოდენობა იმდენად მომრავლდა, რომ [illegible] ლებმა გამოარჩიეს განსაკუთრებული მონაცემების მქონე, ნიჭიერი მოთამაშეები, მათ ყურადღებას არ მოაკლებენ. მაგრამ სპეციალიზებული სკოლები ხომ ყველა რაიონში არა გვაქვს, ამიტომაც, რა თქმა უნდა, შორეული სოფლების მაცხოვრებელი ბავშვები მოკლებული არიან საშუალებას რეგულარულად იმეცადინონ საფეხბურთო ჯგუფებში. „ტყავის ბურთის“ კლუბის საკავშირო სისტემაც სწორედ მათთვისაა გამიზნული. მაგრამ დასანანიც სწორედ ისაა, რომ ბავშვებთან მუშაობა ბევრგან სისტემატურად არ მიმდინარეობს, გუნდებს აყალიბებენ მხოლოდ მოახლოებულ ღონისძიებათა წინ, ეს ხდება სახელდახელოდ, ნაჩქარევად, მხოლოდ გარკვეული ვადებისთვის, ზოგჯერ — მოვალეობის მოხდის მიზნითაც.

ჩემი აზრით, საჭიროა გადაისინჯოს დებულების პუნქტი შეჯიბრებებში ე. წ. უფროსი ასაკის, 16-17 წლის ბავშვთა მონაწილეობის შესახებ. ეს ის ასაკია, როცა ნორჩ ფეხბურთელს შემდგომი დაოსტატებისთვის უკვე განვლილი უნდა ჰქონდეს გარკვეული სკოლა, გარკვეული ეტაპი. თუ მას მანამდე არ უთამაშია, მისგან მომავალი ოსტატის აღზრდა ძალზე ძნელი ხდება. თუკი ბავშვი ადრე უკვე მეცადინეობდა სპეციალიზებულ სპორტსკოლაში, „ტყავის ბურთის“ კლუბის შემადგენლობაში მისი შეყვანის უფლება მწვრთნელებს არ აქვთ, ეს კლუბის დებულების დარღვევაა. იშვიათი არაა შემთხვევები, როცა განაცხადების შემოწმების დროს საატესტაციო კომისია სიყალბეს ავლენს. სპეცსკოლაში ნამეცადინევ ფეხბურთელებს უფლება არა აქვთ „ტყავის ბურთის“ კლუბის შეჯიბრებებში მიიღონ მონაწილეობა. ამიტომაც ე. წ. უფროსი ასაკის ბავშვთა შეჯიბრების დებულება გარკვეულ კორექტირებას საჭიროებს.

რაიონების გუნდებს საშუალება უნდა მივცეთ გამოიყვანონ ნაკრები გუნდები. თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, რუსთავის ზოგიერთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მეტი მოსწავლეა, ვიდრე ზოგ რაიონში მთლიანად, ამიტომაც ცალკეულ შემთხვევებში გუნდებს დიდი უპირატესობა აქვთ მათთან შედარებით, ვისაც ასეთი მასშტაბის კონტინგენტი არ გააჩნიათ. ახლაც გული მწყდება, როცა ვიხსენებ, რომ შარშან გათამაშებიდან მოვხსენით მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეობის საკმაოდ ძლიერი გუნდი, მიზეზი კი ის იყო, რომ მის განაცხადში შეიყვანეს ამ სოფლის მე-2 სკოლის ორი მოსწავლე. გაცილებით მეტ სარგებლობას მოგვიტანდა რაიონის ნაკრები გუნდების ფინალურ შეჯიბრებებში მონაწილეობა, პერსპექტიული ნორჩი ფეხბურთელი არ უნდა დავტოვოთ დიდი ტურნირების მიღმა, სკოლისა და კოლმეურნეობის გუნდების გათიშვა ამ შემთხვევაში ნიჭიერი მოთამაშის შესაძლებლობათა გასინჯვის საშუალებას გვიკარგავს.

გათამაშების დაწყების წინ გუნ[illegible]ბის ჩამტარებელ ორგანიზაციას, სადაც თავიდანვე განხორციელდება შესაბამისი კონტროლი იმ მიზნით, რომ შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღოს სწორედ მან, ვისაც ამის უფლება აქვს. ყოველგვარი სიყალბე და მაქინაციები, ფეხბურთელთა გვარების შეცვლა მხოლოდ ზიანს აყენებს ამ საინტერესო შეჯიბრების ჩატარების არსსა და მნიშვნელობას.

„ტყავის ბურთის“ კლუბის შეჯიბრებები, ნორჩ ფეხბურთელთა წვრთნა, შეძლების ფარგლებში, უნდა მიმდინარეობდეს მთელი წლის განმავლობაში, სისტემატურად, აქ მეტი ორგანიზებულობა და სისტემატურობაა საჭირო, ვინაიდან პერიოდულად, მხოლოდ შემთხვევიდან შემთხვევამდე ჩატარებული შეჯიბრებები ვერ წყვეტს იმ რთულ ამოცანებს, რაც საჭიროა ნორჩი ფეხბურთელის აღსაზრდელად და დასაოსტატებლად.

**ოტია ჟორჟანია,**
**საკავშირო კატეგორიის საპატიო მსაჯი ფეხბურთში, „ტყავის ბურთის“ კლუბის რესპუბლიკურ ფინალურ შეჯიბრებათა მთავარი მსაჯი.**

## II ლიგა

გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის შეხვედრები: „ქიაფაზი“ (კიროვაბადი) — „ლოკომოტივი“-ომც (თბილისი) 6:2, „გოიაზანი“ (ყაზახი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 1:0, „ტექსტილშჩიკი“ (კამიშინი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 0:0, „სოკოლი“ (სარატოვი) — „დილა“ (გორი) 2:1, „ტორპედო“ (ვოლჟსკი) — „თერგი“ (გროზნო) 0:0, „ატომმაში“ (ვოლგოდონსკი) — „დინამო“ (მახაჩყალა) 1:1, „შევარდენი“-სპი (თბილისი) — „ბაკინეცი“ (ბაქო) 3:0, „ლოკომოტივი“ (მინ. წყლები) — „ხაზარი“ (სუმგაითი) 0:3.

### გათამაშების ცხრილი

**IX ზონა**

| | თ. | მ. | ფ | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპ.“ ქ. | 25 | 20 | 4 | 1 | 58-15 | 44 |
| „ქიაფაზი“ | 25 | 18 | 2 | 5 | 73-24 | 38 |
| „მეტალ.“ | 25 | 16 | 4 | 5 | 56-26 | 36 |
| „სოკოლი“ | 24 | 16 | 4 | 4 | 58-29 | 36 |
| „გოიაზ.“ | 25 | 12 | 5 | 8 | 42-29 | 29 |
| „ტექსტ.“ | 24 | 10 | 6 | 8 | 41-29 | 26 |
| „დილა“ | 25 | 11 | 3 | 11 | 41-46 | 25 |
| „ატომმაში“ | 25 | 9 | 7 | 9 | 35-35 | 25 |
| „დინამო“ | 25 | 9 | 5 | 11 | 32-34 | 23 |
| „ხაზარი“ | 25 | 9 | 5 | 11 | 33-40 | 23 |
| „თერგი“ | 23 | 8 | 6 | 9 | 31-32 | 22 |
| „შევ.“სპი | 25 | 8 | 4 | 13 | 31-51 | 20 |
| „ლოკომ.“ | 25 | 6 | 4 | 15 | 25-49 | 16 |
| „ტორპ.“ ვ. | 25 | 5 | 4 | 16 | 20-40 | 14 |
| „ლოკ.“-ომც | 25 | 5 | 3 | 17 | 27-60 | 13 |
| „ბაკინეცი“ | 25 | 2 | 2 | 21 | 15-79 | 6 |

## უცხოეთის ამბები

### „რობსონს არ ვემდური“

როგორც ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის წარმომადგენელმა დიკ რაგმა განაცხადა, მის ორგანიზაციას ნაკრების მთავარ მწვრთნელ ბობი რობსონის მიმართ რაიმე პრეტენზია არა აქვს.

— ევროპის ჩემპიონატში ჩვენს მარცხს არაერთი მიზეზი ჰქონდა. ისე რომ, ძნელია რობსონის რაიმეში დადანაშაულება. მასთან ხელშეკრულება მაშინ დამთავრდება, როგორც ადრე იყო დაგეგმილი — მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ. კონტრაქტის ადრე შეწყვეტაზე ჩვენ საერთოდ არ გვიფიქრია.

### „სტამპას“ ცნობით

ტურინის გაზეთ „სტამპას“ ცნობით, პირველი უცხოელი ფეხბურთელი იტალიის ლიგაში ჯერ კიდევ 1929 წელს გამოჩნდა. ამ ხნიდან მოყოლებული, დღემდე იტალიაში თამაშობდა და თამაშობს 124 არგენტინელი, 67 ბრაზილიელი, 52 ურუგვაელი და ა. შ. ევროპელთაგან ამ მაჩვენებლით პირველ ადგილზე არიან იუგოსლაველები (32 კაცი).

### კარიერა დასასრულს მიუახლოვდა

განთქმულმა დანიელმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა პრებენ ელკიაერ-ლარსენმა, რომლის საფეხბურთო კარიერა დასასრულს მიუახლოვდა, იტალიის ქ. ვერონის „ელასთან“ გამოთხოვების შემდეგ სამშობლოში დაბრუნება არჩია. მან ორწლიანი ხელშეკრულება დადო დანიის პირველი ლიგის კლუბ „ვეილესთან“ და, როგორც ჩანს, ეს კონტრაქტი მისთვის უკანასკნელიც იქნება. ელკიაერმა უცხოეთში 12 სეზონის განმავლობაში ითამაშა.

### ფიფა სანქციებს მიიღებს

როგორც სპორტული პრესა იუწყება, ფიფა-ს კატეგორიული აკრძალვის მიუხედავად, ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელი, 37 წლის კევინ კიგანი იმყოფებოდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, სადაც რამდენიმე მატჩი ჩაატარა „კეიპტაუნის“ შემადგენლობაში. ახლა კიგანის მიმართ ფიფა აპირებს მკაცრი სანქციების მიღებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# XXIV ოლიმპიური თამაშები სეული, 1988 წელი

## 8,43 ქულა მესამე ადგილამდე

(დასასრული)

(IV ადგილი), IX ნახტომი — 65,52 ქულა, ჯამში 514,92 (V ადგილი), X ნახტომი — 71,04 ქულა, ჯამში 585,96 (IV ადგილი).

თბილისელ სპორტსმენს საპრიზო ადგილზე გასასვლელად სულ ცოტა დააკლდა. მექსიკელ ხესუს მენასთან, რომელსაც საბოლოო ჯამში მესამე ადგილი ერგო (594,39) მან 8,43 ქულა წააგო. სხვაობა უფრო საგრძნობი იყო ლუგანისთან (52,65 ქულა) და ნინთან (48,51 ქულა).

## დოპინგის საზღაური — მედალი და რეკორდი

**კანადელი** სპრინტერის ბენ ჯონსონის მსოფლიო რეკორდმა 100 მეტრზე რბენაში (9,79) მხოლოდ ორ დღეს იარსება. მესამე დღეს სამედიცინო კომისიამ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომს გადასცა თავისი დასკვნა — დოპინგზე შემოწმების შემდეგ ჯონსონს ორგანიზმში აღმოაჩნდა ანაბოლიური სტეროიდის „სტანოზოლოლის" არსებობის კვალი. აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება სპორტსმენის დისკვალიფიკაციის და მსოფლიო რეკორდის გაუქმების თაობაზე. ახლა თავისი სიტყვა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ უნდა თქვას.

როგორ მოუვიდა ასეთი გამოუსწორებელი შეცდომა ჯონსონის რანგის სპორტსმენს? ძნელი წარმოსადგენია. პრეს-ცენტრში მაშინვე გავრცელდა რამდენიმე ვერსია. ლაპარაკობენ საიდუმლო პიროვნებაზე, რომელიც ანალიზის აღებას ესწრებოდა. ზოგი ყველაფერს გამაგრილებელ წყალს აბრალებს, რომელიც ჯონსონმა ანალიზის წინ დალია, ვერსიები ალბათ კიდევ ბევრი იქნება და მითქმა-მოთქმაც ამ შემთხვევის ირგვლივ დიდხანს გა... გამოვთ, რომ ფაქტის უარყოფა აღარ შეიძლება.

სპეციალურ პრეს-კონფერენციაზე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა სინანული გამოთქვა ამ ინციდენტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მსგავსი დარღვევები ოლიმპიურ მოძრაობას უსიამოვნო ჩრდილს აყენებს, მაგრამ ოლიმპიური კომიტეტი თავის პრინციპულ პოზიციას მაინც არ შეცვლის. პირიქით, დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლა მომავალში უფრო გამძაფრდება და ეს ბრძოლა ბოლოს და ბოლოს ბოროტებას აღმოფხვრის კიდეც.

დაახლოებით ანალოგიური მოსაზრება გამოთქვა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სამედიცინო კომისიის ხელმძღვანელმა ბელგიელმა ალექსანდრ დე მერდოკმა. მისი განცხადებით სამედიცინო კონტროლის სისტემა სულ უფრო სრულყოფილ სახეს იღებს და მალე შემუშავდება ანტიდოპინგური ქარტია, რომელიც პატიოსანი სპორტული ბრძოლის სრულ გარანტიას მოგვცემს.

როგორც უკანასკნელ მომენტში გახდა ცნობილი, მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ გულმოდგინედ შეისწავლა საქმის ვითარება. დადგინდა, რომ კანადიდან სეულში გამგზავრების წინ ჯონსონს არ გაუვლია სამედიცინო კონტროლი. ოქროს მედალი ჯონსონს და იგი ამერიკელ კარლ ლუისს გადასცეს, მსოფლიო რეკორდის თაობაზე კი ფედერაცია მოგვიანებით საგანგებო გადაწყვეტილებას მიიღებს.

### ჩემპიონები




ტატიანა სამოლენკო (მძლეოსნობა)



გენადი ავდეენკო (მძლეოსნობა)



ვლადიმერ სალნიკოვი

საქდეს_საქინფორმის ფოტოები.

## ოლიმპიადის ტაბლო

**25 სექტემბერი.**

**ცხენოსნობა. ცხენის გაწვრთნის უმაღლესი კლასი. გუნდური პირველობა.** 1. გფრ — 4302 ქ; 2. შვეიცარია — 4164; 3. კანადა — 3969; 4. სსრკ — 3926.

**26 სექტემბერი.**

**აფროსნობა. კლასი „470". ქალები.** 1. აშშ — 26,7 საჯ. ქ; 2. შვეცია — 40; 3. სსრკ — 45,4. **კლასი „ფინი". ვაჟები.** 1. ხოსე ლუის დორესტე (ესპანეთი) — 38,1 საჯ. ქ; 2. პეტერ ჰოლმბერგი (ვირჯინიის კუნძულები) — 40,4; 3. ჯონ ბატლერი (ახალი ზელანდია) — 45,0. **კლასი „მფრინავი ჰოლანდიელი". ვაჟები.** 1. დანია — 31,4; 2. ნორვეგია — 37,4; 3. კანადა — 48,4. **კლასი „ტორნადო". ვაჟები.** 1. საფრანგეთი — 16,0; 2. ახალი ზელანდია — 35,4; 3. ბრაზილია — 40,1.

**ძალოსნობა. 100 კგ.** 1. პაველ კუზნეცოვი (სსრკ) — 425 კგ; 2. ანდორ სანი (უნგრეთი) — 407,5; 3. ნიკუ ვლადი (რუმინეთი) — 402,5.

**27 სექტემბერი.**

**ველოსპორტი. ინდივიდუალური საგზატკეცილო რბოლა. ვაჟები.** 1. ოლაფ ლუდვიგი (გდრ) — 4:32.22; 2. ბერნდ გრენი (გფრ) — 4:32.25; 3. კრისტიან ჰენი (გფრ) — 4:32.46; ...5. ჯამოლიდინ აბდუჟაპაროვი (სსრკ) — 4:32.46.

## დღეს, 28 სექტემბერს...

**ოლიმპიადაზე:**

შეჯიბრებებს აგრძელებენ კალათბურთელები, მოკრივეები, თავისუფალი სტილით მოჭიდავეები, ფრენბურთელები, ხელბურთელები, ნიჩბოსნები (ბაიდარა და კანოე), ძიუდოისტები, ცხენოსნები, მძლეოსნები, მაგიდის ჩოგბურთელები, სინქრონული სტილით მოცურავეები, მშვილდოსნები, ჩოგბურთელები, ძალოსნები, მოფარიკავეები, ჰოკეისტები.

ასპარეზობაში ჩაებმებიან მხატვრული ტანმოვარჯიშეები.

ოლიმპიური მედლები გათამაშდება შემდეგ სახეობებში:

**ფარიკაობა. ქალები. რაპირა.** გუნდური პირველობა.

**მძლეოსნობა. ქალები.** ბადროს ტყორცნა. სიგრძეზე ხტომა. რბენა 200 მ. **ვაჟები.** ათჭიდი.

**კალათბურთი.** ქალები.

**ფრენბურთი.** ქალები.

**ხელბურთი.** ქალები.

**თავისუფალი ჭიდაობა.** 48 კგ. 62 კგ. 90 კგ.

**ძალოსნობა.** 110 კგ-ზე ზევით.

**ძიუდო.** 86 კგ.

**ცისფერ ეკრანზე:**

**13.10-15.55.** მძლეოსნობა. კრივი (2).

**15.55-18.30.** მძლეოსნობა (1).

**18.30-22.00.** ძიუდო. კრივი. ჩოგბურთი (2).

**23.45.** ძიუდო. ჩოგბურთი (1).

## ოლიმპიადის დღიური

⊙ **კალათბურთი.** სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებმა მეოთხედფინალში დიდი გაჭირვებით აჯობა ბრაზილიის გუნდს — 110:105 (53:58) და ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა, სადაც აშშ-ს გუნდს შეხვდება.

მეოთხედფინალური მატჩის საუკეთესო მოთამაშედ ერთხმად ასახელებენ 30 წლის ბრაზილიელ ოსკარ შმიდს, რომელმაც თავის კოლექტივს 46 ქულა შესძინა (შმიდს ეკუთვნის ამ ოლიმპიადის რეკორდიც. ერთ-ერთ შეხვედრაში მან 55 ქულა გააკეთა). საბჭოთა ნაკრებში საუკეთესო სნაიპერები კურტინაიტისი (24 ქულა) და ვოლკოვი (20 ქულა) იყვნენ.

მოულოდნელი შედეგით დამთავრდა მეოთხედფინალური მატჩი ავსტრალიასა და ესპანეთს შორის, რომელიც ავსტრალიელებმა მოიგეს — 77:74. იუგოსლავიის კალათბურთელებმა კანადის გუნდი დაამარცხეს — 95:73. მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს ავსტრალიისა და იუგოსლავიის წარმომადგენლები შეხვდებიან.

უკვე გამოვლინდნენ ქალთა ტურნირის ფინალისტები. ოქროს მედლებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და იუგოსლავიის კალათბურთელები გაითამაშებენ. ნახევარფინალში ჩვენი ქვეყნის გუნდი, რომელიც ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებოდა, დამარცხდა აშშ-ს ნაკრებთან 88:102 (39:50). ამ მატჩის საუკეთესო სნაიპერები იყვნენ: სინტია კუპერი (აშშ) — 27 ქულა და ნატალია ზასულსკაია (სსრ კავშირი) — 16 ქულა.

⊙ **ძიუდო.** დაბალ წონებში სამხრეთ კორეისა და იაპონიის მოჭიდავეებს კარგა ხანია არ ჰყავთ ბადალი. სეულში უკეთ ოლიმპიადის მასპინძლები გამოდიან, რომლებსაც უკვე ჰყავთ ორი ჩემპიონი.

65 კგ კატეგორიაში საბჭოთა ნაკრების ღირსებას ყველაზე გამოცდილი ძიუდოისტი, ლენინგრადელი იური სოკოლოვი იცავდა. სოკოლოვს წონის დაკლება მუდამ უჭირდა და როგორც ჩანს ახლაც ეს იყო იმის მიზეზი, რომ ჩვენი მოჭიდავე უძლიერესთა ექვსეულში ვერ მოხვდა.

ფინალში ბრძოლის უფლება სამხრეთკორეელმა ლი კენ კინმა და პოლონელმა იანუშ პავლოვსკიმ მოიპოვეს. ჩემპიონი ამჯერადაც კორეელი ძიუდოისტი გახდა.

პრიზიორთა ექვსეული ამ წონაში ასე გამოიყურება: 1. ლი კენ კინი (სამხრეთ კორეა), 2. იანუშ პავლოვსკი (პოლონეთი), 3. ბრუნო კარაბეტა (საფრანგეთი) და იოსუკე იამამოტო (იაპონია), 5. ბრენტ კუპერი (ახალი ზელანდია) და ტამაშ ბუიკო (უნგრეთი).

⊙ **ფეხბურთი.** 27 სექტემბერს შედგა ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირის ნახევარფინალური მატჩი სსრ კავშირისა და იტალიის გუნდებს შორის. ანგარიში გახსნეს იტალიელებმა, საბჭოთა ფეხბურთელმა დობროვოლსკიმ კი საპასუხო გოლი გაიტანა — 1:1. საჭირო გახდა დამატებითი დროის დანიშვნა, ამ პერიოდში ნარბეკოვასმა და მიხაილიჩენკომ კიდევ 2 ბურთი გაიტანეს იტალიელთა კარში, ბოლო წუთზე კი იტალიელებმა შეძლეს ერთი გოლის გაქვითვა.

ნახევარფინალური მატჩი ანგარიშით 3:2 მოიგეს საბჭოთა ფეხბურთელებმა, რომლებიც ფინალში გავიდნენ. ჩვენს ფეხბურთელებს, სულ ცოტა, ვერცხლის მედლები აქვთ გარანტირებული.

აღსანიშნავია, რომ ეს ნახევარფინალური მატჩი მიმდინარეობდა უხეშად, მსაჯმა რამდენიმე ფეხბურთელი გააფრთხილა და ერთი იტალიელი მოთამაშე მინდვრიდანაც გააძევა.

მეორე ნახევარფინალური მატჩი ამავე დღეს გაიმართა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ბრაზილიის გუნდებს შორის. ძირითადი და დამატებითი დრო დამთავრდა ფრედ — 1:1. პენალტებით — 3:2 გაიმარჯვეს ბრაზილიელებმა.

ამრიგად, ფინალში 1 ოქტომბერს ერთმანეთს შეხვდებიან სსრ კავშირი — ბრაზილია.

⊙ **კრივი.** დამთავრდა მერვედფინალური შეხვედრები. საბჭოთა სპორტსმენთაგან ბრძოლას აგრძელებს შვიდი მოკრივე: ა. მახმუტოვი (48 კგ), ტ. სკრიაბინი (51 კგ), ა. არტიომოვი (54 კგ), ვ. იანოვსკი (63,5 კგ), ე. ზაიცევი (71 კგ), ნ. შანავაზოვი (81 კგ) და ა. მიროშნიჩენკო (მძიმე), ბრძოლას გამოეთიშნენ: ვ. ერეშჩენკო, მ. კაზარიანი, რ. სებიევი, რ. ტარამოვი, კ. ცზიუ.

⊙ **აკადემიური ნიჩბოსნობა.** საბჭოთა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს 14 კლასის ნავებით ასპარეზობაში და მხოლოდ სამი საპრიზო ადგილი დაიკავეს (არც ერთი „ოქრო" არ მოუღიათ). ეს ერთობ სუსტი მაჩვენებელია.

⊙ **ჩოგბურთი.** როგორც ცნობილია, საბჭოთა სპორტსმენთაგან ოლიმპიურ ტურნირს მხოლოდ ორი ჩოგბურთელი ქალი იყო შემორჩენილი — ნატალია ზვერევა და ლარისა სავჩენკო. ახლა ისინიც დამარცხდნენ, თუმცა ამ მარცხს ასე თუ ისე აქვს გამართლება. ლარისა სავჩენკომ ბრძოლა დათმო მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთან, დასავლეთგერმანელ შტეფი გრაფთან (2:6, 6:4, 3:6), ნატალია ზვერევამ კი არგენტინელ გაბრიელა საბატინისთან (4:6, 3:6).

⊙ **წყალბურთი.** წინასწარ ჯგუფში, სადაც ჩვენი სპორტსმენები გამოდიან, ბოლო შეხვედრები გაიმართა, მანამდე კი როგორც ცნობილია გფრ-ის გუნდს 8 ქულა ჰქონდა, საბჭოთა კავშირის ნაკრებს — 7. ბოლო მატჩში სწორედ ეს გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს. გაიმარჯვეს დასავლეთგერმანელმა წყალბურთელებმა — 9:8.

**„სპორტპროგნოზი"**

**XXIV ოლიმპიური თამაშების კალათბურთელთა ტურნირის მატჩებზე შედგენილი სპეციალური ტირაჟის შედეგები**

(18-25 სექტემბერი)

1—2, 2—1, 3—1, 4—2, 5—2, 6—X, 7—2, 8—1, 9—2, 10—2, 11—1, 12—2, 13—2.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

**რედაქტორის მოადგილე**

**უ. ჭიჭინაძე.**

**პროფკავშირთა** ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს მაგიდის ჩოგბურთის ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სპორტსკოლის დირექცია აცხადებს 1981-1982 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა მიღებას 1988-1989 სასწავლო წლისათვის. მიღება მიმდინარეობს ყოველ დღე კვირის გარდა დღის 9 სთ-დან 13 სთ-მდე და 15 სთ-დან 20 სთ-მდე.

მისამართი: გულიას ქ. № 3-ა (დოსაათის სპორტ. დარბაზი) და ჭავჭავაძის ქ. № 49-ბ, მაგიდის ჩოგბურთის სპორტული დარბაზი (ფარიკაობის სპორტული სკოლის შენობაში). ტელეფონი: 39-51-19.

**სპორტსკოლის ადმინისტრაცია.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისათვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო",

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი**
66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ხაზაჩეთი კორპუსში: ხომარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20

უე 10854.